სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 21

2012 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 5 აპრილის №14 ბრძანების დანართი №1-ის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრების მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების განხილვის მიზნით, დამტკიცდეს საგნობრივი საპრეტენზიო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
ე) ალექსანდრე ღონღაძე - კომისიის წევრი;
ვ) დიმიტრი დრიაევი - კომისიის წევრი;
ზ) სევერიან წაქაძე - კომისიის წევრი.

2.2 მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
ე) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი - კომისიის წევრი;
ვ) თენგიზ კოპალიანი - კომისიის წევრი;
ზ) შალვა ზვიადაძე - კომისიის წევრი.

2.3. ინფორმატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
ე) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი - კომისიის წევრი;
ვ) თენგიზ კოპალიანი - კომისიის წევრი;
ზ) კობა გელაშვილი – კომისიის წევრი.

2.4 ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
ე) ლევან ჭაჭია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი - კომისიის წევრი;

ვ) დიანა ძიძიგური - კომისიის წევრი;

ზ) ნანა კოშორიძე - კომისიის წევრი.

3. 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატის მიერ მიღებული შეფასება ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევა კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ფონდში შექმნილ შესაბამის საგნობრივ საპრეტენზიო კომისიაში შემდეგი ვადების დაცვით:

ა) მათემატიკასა და ფიზიკაში I, II, III და IV შესარჩევი ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 2012 წლის 3 მაისის 15:00 საათამდე.

ბ) ბიოლოგიაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 2 მაისის 15:00 საათამდე.

გ) ინფორმატიკაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 21 მაისის 15:00 საათამდე.

4. შესაბამისი საგნობრივი საპრეტენზიო კომისია სააპელაციო განაცხადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგი ვადების დაცვით:

ა) მათემატიკასა და ფიზიკაში I, II, III და IV შესარჩევი ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 2012 წლის 7 მაისისა.

ბ) ბიოლოგიაში I და II შესარჩევი ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 2012 წლის 3 მაისისა.

გ) ინფორმატიკაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 2012 წლის 23 მაისისა.

5. კომისიის სხდომებს უძღვება და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

7. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.

9. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე გრძანების ფონდის ვებ-გვერდზე განთავსება.

10. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური